რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
290.013.004.448

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N 29
2000 წლის 3 ოქტომბერი ქ. თბილისი

არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესის დამტკიცების შესახებ

"არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. "არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესი" (თან ერთვის).
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ცერცვაძე

არასახელმწიფო საპენსიო სქემის
დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს
წევრების არჩევის წესი

მუხლი 1

"სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის წესი" მომზადებულია "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის არჩევის წესს.

მუხლი 2

1. სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულოა დამსაქმებელთა, დამსაქმებელთა გაერთიანებების და სხვა იურიდიული პირების საპენსიო სქემებისათვის.

2. სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო არ არის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების საპენსიო სქემებისათვის.

მუხლი 3

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს უფლებამოსილება მიანიჭოს თავის ერთ ან რამდენიმე წევრს, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები იმ საკითხთა განხილვისას, რომლებიც ეხება საპენსიო ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 4

1. დამფუძნებელი (დასაქმებული ან სხვა იურიდიული პირი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას იწვევს პროფესიული კავშირის კრებას, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში – მონაწილეთა კრებას.

2. კრება უფლებამოსილია აირჩიოს:

ა) დამფუძნებელთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი კრების წევრებისაგან;

ბ) დამფუძნებელთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მეორე ნახევარი იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან საპენსიო სქემის მონაწილენი.

3. დამფუძნებელთა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იყოს მეანაბრე (მეანაბრეები) ან მათი წარმომადგენლები.

მუხლი 5

1. დამფუძნებელთა (დამსაქმებულთა გაერთიანება) თითოეული წევრი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისას, საკუთარი თანამშრომლობისაგან, რომლებიც წარმოადგენენ დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემის მონაწილეებს, ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

2. დამსაქმებელთა გაერთიანების თითოეული წევრის (დამსაქმებელი) მიერ სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილ წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ დამსაქმებლის მონაწილეების დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემის მონაწილეთა მთლიან რაოდენობაში წილის პროპორციული ოდენობით.

ა) დამსაქმებელთა გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარი ირჩევა დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემის მონაწილეებისაგან.

ბ) დამსაქმებელთა გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მეორე ნახევარი ირჩევა იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან დამსაქმებელთა გაერთიანების საპენსიო სქემის მონაწილეები.

4. დამსაქმებელთა გაერთიანების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იყოს მეანაბრე (მეანაბრეები) ან მათი წარმომადგენლები.

მუხლი 6

1. საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა იყოფოდეს 2-ზე.

2. საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს 4-ზე ნაკლები და 24-ზე მეტი.

3. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმას, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილეს.

მუხლი 7

1. საპენსიო სქემის დამფუძნებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისას ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც არის საპენსიო სქემის მონაწილე, ხოლო ორი ან მეტი კანდიდატის არსებობისას მათ შორის უპირატესობა განისაზღვრება სამუშაო სტაჟის მიხედვით.

მუხლი 8

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა 3 წლის ვადით საპენსიო სქემის მონაწილეთა კრებაზე, მაგრამ უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ საპენსიო სქემის მონაწილეთა მორიგი კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. წევრის გასვლიდან 4 თვის ვადაში უნდა იქნას არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

მუხლი 9

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავის მოვალეობას ასრულებენ გასამრჯელოს გარეშე.